ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/301019/11

ქ. თბილისი **30 ოქტომბერი, 2019 წ.**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახური (შემდგომში - „შემსყიდველი“), მისი ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ: 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ანგარიში/სახაზინო კოდი: 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორე მხრივ **სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), მისი დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის მამუკა ლიპარტელიანის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კმ, ს/კ: 211350928, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი: 707117032

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო შესაბამისი გამოკვლევის აქტების საფუძველზე დაცვის მომსახურების **(CPV79710000 - უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის (რეგისტრ. N131479-21-12) მოხსენებითი ბარათის და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 29 ოქტომბრის № 4283 განკარგულების საფუძველზე (**SMP190004085**).

1.2 შესყიდვის ობიექტია შესაბამისი გამოკვლევის აქტების საფუძველზე ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემული ობიექტის (შემდგომში „ობიექტად“ წოდებული) დაცვით მომსახურება 24 საათიანი დაცვის რეჟიმით სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ დანაყოფების მიერ ამავე დანართში მოცემულ მისამართზე. ობიექტზე დაცვის მომსახურების განხორციელებისათვის განსაზღვრული საშტატო ერთეულების (ინსპექტორი, უმცროსი ინსპექტორი) რაოდენობა და თვიურად გადასარიცხი თანხა მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1-ში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **22 700.00 (ოცდაორი ათას შვიდასი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2 შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2019 წლის 01 ნოემბრიდან - 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

4.2 მოსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემული ობიექტის მისამართების მიხედვით.

4.3. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მოსმახურების ღირებულების შესაბამისად.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიღებას.

5.3 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე არ განხორციელდა გაწეული მომსახურების მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ხარვეზების გამოსწორება და მომსახურების გაწევა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 12.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ყოველთვიურად წარმოუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 არ გაამჟღავნოს „შემსყიდველის“ სამსახურებრივი საიდუმლოება;

7.1.2 „ობიექტის“ სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით და იარაღის გარეშე;

7.1.3 „პოლიციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

7.1.4 „მიმწოდებელი“ ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს „მიმწოდებლის“ მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

7.1.5 ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის“ საბუღალტრო დოკუმენტაციას;

7.16 „შემსყიდველისათვის“ ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას „მიმწოდებელი“ მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

7.2 „მიმწოდებელი“ პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:

7.2.1 „შემსყიდველმა“ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;

7.2.2 თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვეს დასაცავ „ობიექტში“;

7.2.3 მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „შემსყიდველის“ მიერ „ობიექტის“ დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.

7.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.3.1 განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და „მიმწოდებელთან“ ერთად იზრუნოს „ობიექტის“ დაცვის სრულყოფისათვის;

7.3.2 „ობიექტის“ მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში „დაცვის“ თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;

7.3.3 „მიმწოდებელს“ 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე“ მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის“ დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);

7.3.4 „დაცვის“ თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“;

7.3.5 „შემსყიდველს“ ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით.

7.3.6 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, „შემსყიდველი“ ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ერთი თვით ადრე წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს“.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

13.1.2 ერთი მხარის მიერ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;

13.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“**	**„მიმწოდებელი“** **შსს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“**
_____	_____
გიორგი გომარელი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**მამუკა ლიპარტელიანი** დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი

დაცვის ქვეშ არსებული ობიექტი დანართი N1													
#	ობიექტის დასახელება	ობიექტის მისამართი	"დაცვის" დანაყოფი	დაცვის რეჟიმი	საშტატო ერთეულების რაოდენობა				თვიურად გადასარიცხი თანხა დღგ-ს ჩათვლით				ერთი თვის მომსახურების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
					განყოფილების უფროსი	უფროსი ინსპექტორი	ინსპექტორი	უმცროსი ინსპექტორი	განყოფილების უფროსი	უფროსი ინსპექტორი	ინსპექტორი	უმცროსი ინსპექტორი	
1	შპს "განთიადი"-ს (ს/კ 433101706) საკუთრებაში არსებული ქონება	ლაგოდეხის რაიონი, სოფელი აფენი და მისი მიმდებარე ტერიტორია	კახეთის რდპ სამმართველო, გურჯაანი, ლაგოდეხი, ყვარელის დპ ქვეგანყოფილება	24 საათის განმავლობაში			1	24			1100.00	900.00	22700.00
					0	**0**	**1**	**24**					**22700.00**
სულ													

„შემსყიდველი“
სსიპ „შემოსავლების სამსახური“

_____

გიორგი გომარელი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“
შსს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“

_____

მამუკა ლიპარტელიანი
დაცვის ორგანიზაციის
სამმართველოს უფროსი